საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-816

23/08/2019

ქ. თბილისი

**შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის" ქიმიური ნივთიერებების წარმოების (ამორფული ბორის ელექტროლიზური მეთოდით მიღება) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე" სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს „შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის ქიმიური ნივთიერებების წარმოების (ამორფული ბორის ელექტროლიზური მეთოდით მიღება) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე" სკოპინგის დასკვნა N88 (21.08.2019);
2. შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N 88 (21.08.2019) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

იური ნოზაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი